

განცხადებები

გვირახს, სექტემბრის 1, ქუთაისის პარტ. კლუბში მოწვეულია საპარტიო მუშაკები სოც.-ფედ. პარტიის

სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. პარტიული მუშაობა.
3. ქუთ. კომიტეტის ანგარიში.
4. მოხსენება ადგილებიდან.
5. პარტიული წესდების გადასინჯვა.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა და სარევიზო კომისიის.

დღევანდელ ირჩევს ორგანიზაციის საზოგადო კრება.

ყოველმა ორგანიზაციამ ქუთაისის სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე უნდა გამოგზავნოს თითო დელეგატი. თუ ორგანიზაციაში ოცნე მეტი წევრია, ყოველ ოც წევრზე იგზავნება თითო დელეგატი. ახალგაზრდათა ორგანიზაციები გზავნიან თითო დელეგატს სათაბიროს ხმით.

კონფერენცია გაიხსნება დღის 11 საათზე.

საქართველოს მემარცხე სოც.-ფედ. პარტიის

სამაზრო კონფერენცია

ამით აცხადებს, რომ ა. წ. აგვისტოს 26-სათვის ქ. ახალ-სენაკში მოწვეულია პარტ-ორგანიზაციების

სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა ფედერაციის საგარეო და საშინაო მდგომარეობა.
2. პარტორგანიზაციების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში.
3. პარტიული მუშაობა.
4. დროებითი სამაზრომის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. სამაზრო კომიტეტის და სარევიზო კომისიის არჩევნები.

დელეგატები იგზავნება პარტორგანიზაციების მიერ, ყოველ 20 წევრზე ერთი. ორგანიზაცია, რომელშიც ირიცხება 20-ზე ნაკლები ნამდვილი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს უფლება აქვთ ხათათიროს ხმით თითო წარმომადგენლის გამოგზავნისა.

კონფერენცია გაიხსნება საბჭოთა თეატრში, დღის 12 საათზე.

ს. მემარცხენე ს.-ფ. პ. სენაკის დრ. სამაზროკომ.

გერმანიის მდგომარეობა

როგორც დღევანდელ გადმოგვცემს, გერმანიის მდგომარეობა საათობით რთულდება. გაფიცვების ტალღა ედება გერმანიის. „ხუთმეტთა კომისია“ მოუწოდებს მუშებს წამოაყენონ ლოზუნგი კუნოს მთავრობის დამხობისა და მუშურ-გლეხური მთავრობის შედგენის. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრებამ ამავე ლოზუნგებით გამოაცხადა სამი დღის გაფიცვა. სტამბის მუშების გაფიცვის გამო ველარ იბეჭდება ბანკოტები. 10 აგვისტოს ბერლინი უგაზთოდ რჩება. ამავე მუშების გაფიცვის გამო. ბერლინი უსინათლოთ დარჩა ელექტრონის სადგურის მუშათა გაფიცვის გამო.

ფართო მასშტაბში კუნომ დაპყრობა დიდა. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამც მას უნდობლობა გამოუცხადა. კუნოს კაბინეტის მდგომარეობა კრიტიკულია. კუნო იბეჭდება, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს, როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ, რომ დაცულ იქნეს მშვიდობიანობა. ებერტის განკარგულებით ყველა გაზეთებს ცენზურა დაენიშნა.

მუშებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მთელ რიგ ქალაქებში.

ყოველივე ეს საგულსხმიეროა გერმანიის პოლიტიკური ვითარებისათვის. საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულება უკვე სიმწვავეთ იზრუნს თავს. მთავრობის დეკლარაციები, ფინანსური ხასიათის პროექტები, პასიური წინააღმდეგობის პოლიტიკა რურში, სრული მოშლა სამეურნეო ცხოვრების, — კუნოს კაბინეტის წინააღმდეგ უკვე იწვევს დემონსტრაციებს და გამოსვლებს.

გერმანიის არსებულმა ხელისუფლებამ ქვეყანა მიიყვანა პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისის უღარესობამდე. აიწეწა და მოიშალა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება. იმპერიალისტურმა თავდასხმამ და ამ თავდასხმის მიმართ პასიური პოლიტიკის წარმოება, ხელიდან გამოსცა მას თავისი ეკონომიკის უმთავრესი საფუძველი რურის ოლქი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტიუნისტულმა და რევოლუციონერულმა პოლიტიკამ მუშათა მოძრაობა ააცდინა თავის ნორმალურ გზას და დაუმორჩილა დემოკრატიზმის პრინციპებს.

სის უაღრესობამდე. აიწეწა და მოიშალა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება. იმპერიალისტურმა თავდასხმამ და ამ თავდასხმის მიმართ პასიური პოლიტიკის წარმოება, ხელიდან გამოსცა მას თავისი ეკონომიკის უმთავრესი საფუძველი რურის ოლქი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ოპორტიუნისტულმა და რევოლუციონერულმა პოლიტიკამ მუშათა მოძრაობა ააცდინა თავის ნორმალურ გზას და დაუმორჩილა დემოკრატიზმის პრინციპებს.

გერმანიის დღევანდელი ვითარება, მუშათა გამოსვლები, დემონსტრაციები, შეტაკებანი და სხ. თუ გადამწყვეტი ბრძოლის პაროლი არ იქნება, ყოველ შემთხვევაში დიდად შეუწყობს ხელს მუშათა კლასის გამოიხსნებას, მის რევოლუციონერ მოძრაობაში გადასვლას.

ის უკმაყოფილების ტალღა, რომელიც შეიქმნა და რომლის გამოსავალი ჯერ არა სჩანს გარკვეულ პოლიტიკურ ფიზიონომიაში ჩამოყალიბდება. მუშათა კლასი ხანგრძლივი დამარცხებით ითვისებს იმ დებულებას, რომ მუშათა მთავრობის შედგენას და წითელი დროშის აფრიალებას შეუძლია გერმანიის გამოყვანა იმ ჩიხიდან, რომელშიც იგი მოექცა, როგორც მოკავშირეთა, ისე საკუთარ ხელისუფალთა პოლიტიკის წყალობით. ის გამოუღლი კრიზისები, რომელიც ასაზრდოებს დღეს მუშათა გაფიცვებს, ამავე დროს ნიადაგს ამაღებს რადიკალური კონფლიქტების გაჩაღებისათვის, რომლის პროცესში სრული ლიკვიდაცია უნდა მოახდინოს გერმანიის ბურჟუაზიული წყობილების.

(„ზაქროსტას“ ცნობები)

გერმანიის აზრები

მუშები კუნოს გადადგომას მოითხოვენ

ლონდონი. 13 აგვისტო. პოლიტიკური კრიზისი ბერლინში მეტად გამწვავდა. შაბათს მუშათა დეპუტაციები მთელი დღის განმავლობაში გარს ეხვიენ რეიხსტაგს და მოითხოვდნენ კუნოს გადადგომას და მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნას. ბერლინის გარშემო, გადატრიალების ასაცილებლად, თავმოყრილია ჯარები.

ბერლინი. 10 აგვისტო. „თხუთმეტა“ კომისიამ მიმართა ბერლინის მუშებს, გვერდი აუხვიონ გერმანიის პროვოკაციების გაერთიანებას, მოწოდებით იტალიურ გაფიცვისკენ, რომლის დროსაც უნდა წამოაყენონ შემდეგი ლოზუნგები: კუნოს მთავრობის დამხობა, მუშურ-გლეხური მთავრობის შედგენა, ისეთი განაკვეთების შემოღება, რომლებიც შეეფერება მშვიდობიან დროს, დაუყონებლივ დაურიგდეს თვითმუშა მუშას, მოსამსახურეს და მოხელეს 10 მილიონი მარკა.

ბერლინი. 11 აგვისტო. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრებამ, რომელიც მოწვეული იყო „თხუთმეტა“ კომისიის ინიციატივით, დაადგინა გამოაცხადოს ბერლინში სამი დღის გაფიცვა, შემდეგი ლოზუნგით: „კუნოს მთავრობის ჩამოგდება და მუშათა და გლეხთა მთავრობის დაარსება“. ქარხნების კონების დაცვა ევალებათ წითელ რაზმებს.

რომი. კანცლერმა კუნომ რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა ენერგიულ ზომებს მიიღებს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ სახელმწიფოს შინაგან მშვიდობიანობის დასაცავად.

ბარნი. პილვერდინგი „ფორვერტს“-ში წინადადებას იძლევა რეიხსტაგის ორ დეპარტამენტით გაყოფის შესახებ: ოქროს მარკისა და ქალაქის მარკის დეპარტამენტებით. პირველს უფლება ექნება თავის განკარგულებაში იქონიოს 300 მილიონი მარკის ოქრო და გამოსცეს ოქროს მარკის ბანკნოტები, რომელიც დაფარული იქნება ნახევრათ ოქროთი და ოქროს დევიზებით, ნახევრათ კი ოქროს ვალდებულებებით; მეორე დეპარტამენტი განაგრძობს ემისიისა და ქალაქის მარკის გამოცემის ხელმძღვანელობას.

ბარნი. კომუნისტების მიერ რეიხსტაგში შეტანილი წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ განხილული იქნება რეიხსტაგის მიერ ორშაბათს.

ბერლინი. 9 აგვისტო. ბერლინის წვრილ ვაჭრებმა გამოაცხადეს დღეს 24 საათის გაფიცვა ნიშნად პროტესტის სპეკულიანტების შესახებ მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ. თითქმის ყველა მაღაზიები და დუქნები დახურულია. ვაჭრები წინადადებას იძლევიან ხვალეიდან ივანკონ მხოლოდ 5 საათით. ცალკეულთა მოვაჭრეთა განცხადებით მეტითუმე ვაჭრები მოითხოვენ ანგარიშის გასწორებას ოქროს კურსით, რაც ცალკეულ ვაჭრობას შეუძლებლათ ხდის, ვინაიდან უქანასკნელში ვაჭრობა სწარმოებს ანგარიშით.

ბერლინი. 11 აგვისტო. გერმანიაში ეკონომიური მდგომარეობა საათობის განმავლობაში უარესდება. მარკის დაცემა გაკლენას ახდენს არა მარტო მომხმარებლებზე, არამედ ვაჭრებზედაც, რომლებიც ვეღარ ახერხებენ ახალი საქონლის შექმნას, სტამბის მუშათა გაფიცვის გამო ბანკნოტები ვეღარ იბეჭდება. რეიხსტაგისა და სხვა ბანკებს სახსარი არა აქვთ გასტუმრებისა. მხოლოდ იმის იმედით აქვთ, რომ ახლო მომავალში სახელმწიფო სტამბები მაინც განააღებენ მუშაობას. ქვეანახშირის ფასმა 350 პროც.-ით აიწია.

ბერლინი. 11 აგვისტო. სტამბის მუშების გაფიცვის გამო, გუშინ ბერლინში გაზეთები არ გამოშულა.

ბერლინი. 11 აგვისტო. რეიხსტაგის ცნობით ქალაქის ფულის რაოდენობა, რომელიც ამ ბოლო დროს გერმანიაში ტრიალებს, 11,800 მილიარდიდან 43,600 მილიარდ მარკამდე ავიდა.

ბერლინი. 11 აგვისტო. რეიხსტაგის დადგენილებით, საკითხი მთავრობის ნდობის შესახებ ორშაბათამდე გადაიდო. კუნო მოლაპარაკებას აწარმოებს პარტიების ბელადებთან.

ბერლინი. 11 აგვისტო. გერმანიიდან მიღებული ცნობებით, გერმანიის მუშათა შორის მღელვარება იზრდება მთელს გერმანიაში. ბერლინში გაფიცვები ფართოვდება. რკინის გზის მიმოსვლა შესწყდა.

ბარნი. 11 აგვისტო. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, ტრამვაის პარკებისა და მიწის ქვეშ რკინის გზების მუშები გაიფიცნენ.

ჰამბურგში გაფიცვა გამოაცხადეს მუშათა მშენებელ სახელსწოთა მუშებმა.

ლონდონი. 13 აგვისტო. სურსათ-სანოვარეზე ფასების არაჩვეულებრივ ზრდის გამო გერმანიის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება გაფიცვების ტალღა, რომელთა მიზანია სამუშაო ხელფასის მომატება.

გერმანიაში გაიფიცნენ სტამბის მუშები. შეჩერდა მიწის ქვეშ რკინის გზა, გაფიცული არიან მელოთონები, რის გამო დახურულია მსხვილი ქარხნები და ფაბრიკები. მუშათა შეჩერდა აგრეთვე ჰამბურგის გემთა სამომოსვლო საზოგადოებებში და შტეტინის გემთა საზოგადოება „ვულკან“-ში. მოძრაობა გადაიღო საოკუპაციო ოლქებსაც, კობლენცში ხალხმა მაღაზიების რბევა დაიწყო. პოლიცია ხმლებით შეეჩხა ბრბოს, კრეფულში ბელგელები ძალით წმენდნენ ქუჩებს დემონსტრანტებისაგან.

ლონდონი. 13 აგვისტო. კვირა ღამეს შესდგა პრეზიდენტ ებერტისა და კანცლერ კუნოს თათბირი პარტიების ლიდერებთან. კუნოს კაბინეტის გადადგომას მოელოდნ ორშაბათს.

ლონდონი. 13 აგვისტო. გამბურგში, ბრემენში, დრეზდენში, ლეიპციგში, კილსა და ლიუბეკში და სხვაგან ხდები სისხლის მღვრელი შეტაკებები მუშებსა და პოლიციას შორის.

ბარნი. 13 აგვისტო. ჰანოვერსა და ბრესლაველში დიდი არეულობაა, რომლის დროს მოკლულია 16 და დაჭრილია 53.

ბარნი. 13 აგვისტო. ელექტრონისა და გაზის სადგურების მუშათა გაფიცვის გამო, ბერლინი უსინათლოთ და უგაზოთ დარჩა.

ბარნი. 13 აგვისტო. პრეზიდენტ ებერტის განკარგულებით გერმანიის მთელ პრესისათვის შემოღებულია ცენზურა.

ბარნი. 13 აგვისტო. კილის არხის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, საგემო მიმოსვლა შეწყვეტილია.

ლონდონი. 13 აგვისტო. ეკო-დებარის ცნობით ბერლინის ჩრდილოეთ მიდამოების ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშებმა ამართეს წითელი დროშები.

ლონდონი. 13 აგვისტო. გაზ. „ცენტრალ ნიუზის“ ცნობით, კუნომ შაბათს გადასცა პრეზიდენტ ებერტს განცხადება გადადგომის შესახებ. გადადგომა ჯერ-ჯერობით მიღებული არ არის. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ღამით გაიმართა ებერტის და კუნოს თათბირი პარტიის ლიდერების თანადასწრებით. დამატებით მიღებულ ცნობების თანახმად თუ კუნო დაინებით მოითხოვს გადადგომას გერმანიის ნაციონალისტების ლიდერი შტრეზმანი, რომელიც იცავს სტინესის და სხვა მსხვილ-მრეწველთა ინტერესებს, შეადგენს კოალიციონურ კაბინეტს. მუშები მოითხოვენ კუნოს გადადგომას და მოუწოდებენ სამი დღით საყოველთაო გაფიცვისაკენ, ორშაბათიდან.

ბარნი. 8 აგვისტო. ლიუბეკში პოლიციამ გარკვეა მუშათა მიტინგი, რასაც მრავალი მსხვერპლი მოჰყვა.

ოკსფორდი. 12 აგვისტო. ბერლინიდან მოსულ ცნობით ებერტს თათბირი ჰქონდა კანცლერ კუნოსთან და პარტიების ლიდერებთან და არის ხმები, რომ კუნოს გადადგომა მან არ მიიღო.

ბერლინი. 10 აგვისტო. დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კრებაზე ლეიპციგში საქონლის სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის მეთაურმა ცეიგენერმა სასტიკით გაილაშქრა კუნოს მთავრობის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ კუნოს პოლიტიკა რურის საკითხში გაკოტრებამდე მიიყვანს გერმანიას. დიდი სენსაცია მოახდინა ცეიგენერის გამოამქვინებამ რურის ოლქში მონარქიულ ორგანიზაციების კონცენტრაციის შესახებ, რომლებიც ფინანსიურ დახმარებას რურის კრედიტებიდან იღებენ. ცეიგენერმა განაცხადა, რომ დადგება მონეტრი, როდესაც სოციალ-დემოკრატიებმა უნდა უარყო ყოველგვარი თანამშრომლობა კუნოსთან და თუ ისინი ამას არ იზამენ საკუთარ ხელთ გაითხრან საფლავს. ცეიგენერმა აღუთქვა კრებას კიდევ გამოამქვინოს კუნოს საიდუმლო მახინაკიები. „ფორვერტს“-ი ამართლებს კუნოს და სცდილობს დაამტკიცოს, რომ უქანასკნელ ხანებში მან ბევრი დათმობა გაუწია სოციალ-დემოკრატებს.

ბერლინი. 11 აგვისტო. მტკიცავთა გაფიცვა დასრულდა. რადგანაც პროფკავშირთა ბელადებმა მწარმოებლებთან შეთანხმება დააჩქარეს.

ბერლინი. 11 აგვისტო. ამ უქანასკნელ დღეებში მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდება თანდათან გაძვირებისა, სანოვარის უზოვრებისა და, ფულის ნიშნების უქონლობის გამო ბერლინის ქარხანათა რაოდენობა, სადაც მუშები იტალიურ გაფიცვის აცხადებენ, თანდათან იზრდება. ნაწილობრივ

ით, მოკავშირეებს რომ ერთხმად წინადადება მი-
ცეს გერმანიისთვის პასიურ წინააღმდეგობის შე-
წყვეტისა და ვალდებულებათა შესრულების შესა-
ცემად, მაშინ კუნო ისე ვერ ილაპარაკებდა, როგორც
საბჭოთა კავშირის ლაპარაკობდა უკანასკნელათ პასიურ წინააღმდე-
გობის შესახებ, „ჟურნალისტიკა“ სცდება, სთქვა
პუანკარემ, „ჟურნალისტიკა“ რომ ჩვენ წავალთ რუ-
სიდან ჩვენდამი კუთვნილ თანხების მიუღებლობა.
ჩვენ ნებას არ მივცემთ; რომ მოგვატყუონ მარკის
დაცემით და გერმანიის ათხრების მიუქარიო. ჩვენი
მოთხოვნები კანონიერია, ჩვენ საკმაო საშუა-
ლებები გვაქვს და ჩვენ მივალწვეთ იმას, რომ უკა-
ნასკენელი სიტყვა ჩვენზე დარჩეს. მოკავშირეთა ჯა-
რის სიმამაცე გაუტეხელია. საფრანგეთი, რომელმაც
მოიგო ომი, შესძლებს აგრეთვე მშვიდობიანობის
მოგვებასაც“.

ლიფილი, 11 აგვისტო. ინგლისის მთავრო-
ბამ გადასწყვიტა არ გამოიყვანოს ჯერ საოკუპაციო
ჯარები რუსიდან: კაბინეტის ზოგიერთი წევრი
ამტკიცებდა, რომ ევაკუაცია აიძულებდა საფრან-
გეთს შეეყვანა ჯარები კიდეც ერთი კორპუსი.

პარიზი. 10 აგვისტო. შვეიცარიის კათოლიკე წარ-
მომადგენლის ბრანტინგის სიტყვით პუანკარესთან
საუბრობდა მან გამოიტანა ისეთი შთაბეჭდილება,
თითქოს პუანკარეს მეტად სურს გერმანიასთან უშუ-
ალო მოლაპარაკება და მზათ არის კიდეც შეთან-
ხმების მისაღწევად გაუღვივლოს გერმანიის საპარტიო
კაპიტულიაციის შესაძლებლობა. ამ დღეებში ბრან-
ტინგი მიემგზავრება გერმანიაში, სადაც იგი შეეც-
დება დაიყოლოს გერმანიის მთავრობა შეთანხმე-
ბის პოლიტიკისკენ.

ლიფილი, ლიონ ჯორჯმა თავის სიტყვაში
განაცხადა, რომ გერმანიამ კონტრიბუტია უნდა გა-
დასცადოს მისი გადახდის უნარიანობის ფარგლებ-
ში. ამავე დროს ის სახელობით ეთანხმება ბალდვინს,
რომ საფრანგეთის მოქმედება არ არის სალი. ალ-
ნინა რა, რომ გერმანიამ უკვე გადაუხადა მოკავ-
შირეებს ოქროთი და ოქროს ექვივალენტით 500
მილიონ. სტერლინგი, ლიონ-ჯორჯმა განაცხადა
რომ ის დარწმუნებულია იმაში, რომ მოთმინების
და სიმტკიცის პოლიტიკა უზრუნველყოფდა გერ-
მანიის მიერ საკმაო კონტრიბუტის გადახდას არა
თუ საფრანგეთის დანგრეულ ადგილების აღდგენი-
სათვის საჭირო ხარჯების დასაფარავად, არამედ
აგრეთვე სხვა ზარალის ასანაზღაურებლად.

პარიზი. დილით მიიღეს სწორი, რომ ფრან-
გებს ეშინიათ და აფრთხილებენ ინგლისს, რომ ერთ
მშვენიერ დღეს ევროპა წააწყდება გერმანიის ძლი-
ერ საპარტო ფლოტს.

ს. ს. რ. კ. ხნოვის გარეგანი

მოსკოვი. 10 აგვისტო. რუსეთში მოგზაურო-
ბის შემდეგ ლონდონში დაბრუნდა ინგლისის საზო-
გადოების „ხელეები შორს რუსეთისაგან“—ის ძლი-
ერი კოლტისი.

რუსეთის დეპუტატთა სააგენტოს კორესპონდენ-
ტთან საუბრის დროს კოლტისმა განაცხადა, რომ მისი
შთაბეჭდილებანი სრულყოფილი ეწინააღმდეგება იმას,
რასაც საზოგადოებრივი სწორი რუსეთში, კერძოდ
კოლტისი განცვიფრებულია ადგილობრივ მუშაკთა
სიმარჯვით, მოხერხებით და სწორი პოლიტიკით,
რომელსაც ისინი იჩენენ თავისი მუშაობის დროს.
მაშინ, როდესაც დასავლეთში ის აზრია გამეფებუ-
ლი, ვითომც ხანგრძლივად არალეგალური ორგანი-
ზაცია.

ბოლოს და ბოლოს ხ—ანის ხმარება ზნაბთა
უღვლილების დროს, როგორც სახელმწიფო დი-
რისა, 3—აეს მაგივრად უფრო ფონეტიკური გეო-
ლოგიური ფაქტორი, რათაგანაც ხარ, ხვალ, ხვალ
სხვა არა არის რა, თუ არ მკვებდ გამოთქმული
ჰარ, ჰვალ (გვალ), ჰვედი (გვედი) სწორედ ისევე,
როგორც ხავა და ხაერი მკვებდ გამოთქმული
ჰავისა და ჰაერის ნაცვალად. თუ ჩვეულებად ყო-
ფილა V—VI საუკუნეში 3 სახელ ნაცვალს ძირის
მკვებდ, ტლანქ ხ—ანად გამოთქმა, მაგიერ X—XI
საუკუნეში გაუღვივებდათ მისი გამოთქმა ხნათა
ცვლის გაწყვიტებით.

3 საბერალო ხმის ხმარება უყოს (გვ. 421),
უყვებს (გვ. 423) შესწავლების წინ
ისეთივე აბსურდია, როგორც ფორმა ხუშგობეს,
რათაგანაც უ სახელმწიფო ძირია მესამე პი-
რისა და მეოთხე უცვლელად რჩება. მაშასადამე
კარგად მოქმედებს, რომ X—XI საუკუნეში 3 ხმა-
რებული უ—ნის წინ სრულიად განუთქმვებიათ. ზნა-
თა უღვლილების დროს უ სახელმწიფო ძირი
ითარგმნება მახ, მიხთვის, მაშასადამე არც ასრუ-
ლებს ქვემდებარის როლს. ფორმები ვაჰჰჰ, შებრ-
ნებით ჰჰჰჰ (გვ. 421—423), ვაჰჰჰ, შებრ-
(გვ. 422), ვაჰჰჰჰჰ, შებრ. პუტელოდ (გვ. 423)
საინტერესო მითი არის, რომ სახელ ნაცვალს ძი-
რები ვი და ვე ძველად უნდა ყოფილიყვნენ ვჰი
და ვჰე, რათაგანაც შებრუნებულად უწერიათ ვჰ და
ჰჰე. თუ ამ დებულებას გავყევით, ვა სახელ ნაცვა-
ლი ძირიც უნდა ყოფილიყვნენ ვჰა, რათაგანაც მისი
მეორე პირისთვის გვაქვს ხა, იგივე ჰა. მაგალითად
ხა—რ.

მე არ ვიცი სამწუხაროდ ქართველთა ეროვნუ-
ლი კოლექტივის სხვა ენები, რომ 3—აეს გატ-
ლანქების მაგალითები მოვიყვანო ქართულთან შე-
დარებით, ხოლო თუ იქაცა აქც ადგილი ასეთ
ფონეტიკურ ფაქტებს, ეს გარემოება იმას მოასწა-
ვებს, რომ ქართულ ენას მოუშორებია ხმების გაღა-
ქარებული მამლობა—სიმკვავე, რომელიც შეპირე-
ნია მაგ. სვანურსა, და გადაპარებულნი დედლობა
—სირბილი, რომელიც აბასიათებს მეგრულსა. მა-
შასადამე ფონეტიკის, ხმათა თანწყობის მხრითაც
ქართულს მოუპოვებია დიდი უპირატესობა, რომ
გაბატონებულიყო, როგორც ასსიმბლატორი, და

ზაქიად ნამყოფ კომუნისტურ პარტიას არა აქვს
ადმინისტრაციულ მუშაობის გაძლიერების უნარიო.

კოლტისი აღნიშნავს საუბრობო მოსავალს უკ-
რანისა და ყუბანში, მაგრამ გაოცებულია იმ პირ-
ველყოფილი საშეაღებებით, რომლითაც გლეხები
მოსავალს იღებდნენ.

კოლტისი რწმენით, უცხოეთის სახელმწიფოებს
რომ რუსეთისათვის სესხი მიეცათ, სასოფლო სამე-
ურნეო მანქანებისა და იარაღების შესაძენად, რუ-
სეთი ზუთს წელიწადში ერთი ორად გააძლიერდა
სასოფლო სამეურნეო მუშაობას.

კოლტისი სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლება
პიბრალტარის კლდედავით მაგარია. რუსეთის მუშე-
ბის ნივთიერი მდგომარეობა ამ ჟამად უკეთესია,
ვიდრე ინგლისის დამტვირთავისა, მაღაროს მუშისა
და შავი მუშისა. რუსეთის გლეხის მდგომარეობა
გაცილებით უკეთესია, ვიდრე ინგლისის მუშათა
მდგომარეობა. რუსეთში თუ სამი წლის განმავლო-
ბაში კარგი მოსავალი დარჩა, მაშინ რუსეთის მუ-
შების მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნება,
ვიდრე ინგლისის მუშისა.

კოლტისი აზრით, —რუსეთი ერთადერთი მხა-
რეა მთელს ქვეყნიერებაზე, სადაც მშრომელ ხალხს
სრულს საფუძვლით შეუძლია იმედი იქონიოს ნიე-
თიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

რუსეთი და გერმანია.

პარიზი. 10 აგვისტო. „ჟურნალ ინტელსტრი-
ელ“-ი აღნიშნავს, რომ რუსეთის ეკონომიური აყვ-
ვება საუკეთესო საშუალებაა გერმანიის საქონლე-
ბის გასაღებად. რათა აცილებულ იქნას რუსეთ-
გერმანიის გავრთიანება, გერმანია უნდა განიარა-
ღდეს და წაერთვას მას „გაბოლშევიკების“ სა-
შუალები.

ლატვია და საბჭოთა კავშირი.

რიგა 9 აგვისტო. გარეშე საქმეთა მინისტრმა
გაუგზავნა ს. ს. რ-ის კის პოლიტ. წარმომადგე-
ნელს ნოტა, რომელშიც იუწყება, რომ ლატვიის
მთავრობას განზრახული აქვს რიგის ნავთსადგურის
გალრმაგება 26 ფუტამდე, რაც დამთავრებული იქ-
ნება სექტემბრის დამლევსათვის. ვინდავის პორტში
სათანადო მუშაობა გრძელდება. ლატვიის მთავრო-
ბა აცხადებს, რომ ნავთსადგურები უზრუნველყო-
ფენ სატრანზიტო ტვირთის რეგულიარულსა და
სწრაფ გადაზიდვას.

ს. ს. რ. კ-ის პოლიტიკური წარმომადგენე- ლი შვეიცარიაში.

სტოკჰოლმი. 10 აგვისტო. ს. ს. რ. კ-ის პო-
ლიტიკურმა წარმომადგენელმა აშხ. ოსინსკიმ დათ-
ვლითა გეტებორგში სასოფლო-სამეურნეო გამო-
ფენა და მთელი რიგი მსხვილი წარმოებისა. გამგზა-
ვების წინ აშხ. ოსინსკიმ პრესის წარმომადგენ-
ლებთან საუბარში დასუყრათა რუსეთის ეკონომიუ-
რი მდგომარეობა და აღნიშნა ის თბილი შეხედრბა,
რომელიც გაუწიეს მას გამოფენაზე.

რომი 10 აგვისტო. გაზ. „სტამპა“ სწერს:
„დადგა დრო რუსეთ-იტალიის შორის საბოლოო
საგავრო ხელშეკრულების დადებისა. გაზეთის აზ-
რით ეს ხელშეკრულება იქნება საბჭოთა რუსეთის
ცნობის დასაწყისი.“

საკულტურო დედა ენად ქეცულოყო ქართველთ
სხვა თემებისთვისაც. X—XI საუკუნის ჩვენს მწერ-
ლებს ნამდვილი რეგულირება მოუხდენიათ, რომ
3—აე სახელნაცვალს ძირის, ზნაბთა უღვლილების
დროს, ხმარების საკითხი გადაწყვეტილი თანახ-
მად ქართული ენის ბუნებისა, რომელიც დღევანდ-
ლამდე დაუცავს აღმოსავლურ ქართულსა და რო-
მელსაც დღევანდელი უფიცი მწერლები ანგარიშს
არ უწევენ, რაკი მათ შობილდ თემებს 3—აე, რო-
გორც საბერალო ხმა, სრულიად დაჰკარგვიათ ასე,
რომ მათ ლაპარაკში აღარ არის.

ეხლა უნდა ვსთქვათ ზოგი რამ წერილობანი-
თის. ჩვენ მეცნიერებს სხოლასტიურ ჩვეულებად
აქვთ შემოღებულ წერა გამოთქმა ქართული, თუ შე-
მოტანილი სიტყვისა აწარმოონ საარაკო სიწმინდით,
რომელსაც იერუსალიმი დაუქცევია. შემოიღეს, რო-
გორც სიტყვებმა, ძველი ტექსტის კითხვის დროს,
ი—ნად გამოთქმა ჰიე ხმისა, რომელიც ძველად იწე-
რებოდა, მაგრამ ზოგჯერ არ გამოითქმოდა, ხოლო
როცა გამოითქმოდა, მაშინ გამოითქმოდა მკაფიოდ
ი—ნად, რასაც ამტკიცებს საეკლესიო და დღევანდე-
ლი პრაქტიკა (მაშა ყოვლისა მპყრობელი, საბარება
მარკოზისა, დროინდელი, საქართველოსა), აგრეთ-
ვე ლექსთა წყობაც, მაგალითად ვეფხისტყაოსნი-
სა, სადაც ჰიე ყოველთვის იწერება, მაგრამ შაირის
მოთხოვნისაგან ზოგჯერ სულ არ იკითხება, ზოგ-
ჯერ კიდევ უსათუოდ ი—ნად უნდა წაკითხულ იქე-
ნეს. ამას არ დასჯერდნენ და გამოსქიმეს მკედარი
ასოები მე, რომელიც ძველადც ე—ნად გამოითქმო-
და, და ხარ რომლის ნაცვალადც დღეს იხმა-
რება ხან რათაგანაც აღარ გვემარჯვება მისი
რბილად გამოთქმა, როგორც ძველად გამოითქმო-
და და მთავი ეხლაც გამოითქმის. ამის მიზე-
დით არ „ხერხდება“ (გვ. 402) რაკი ჩვენ ბარე-
ლებმა უნდა გამოვსთქვათ მაგრად, კიდევ უნდა
დავსწეროთ 3 მაგარი ასოთი ამ განძვეული
ასოებისთვის მოქალაქობრიობის მინიჭება, მათი
მკვდრებით აღდგენა ჩვენ მიგვანია უნაყოფო
ცლად, რაკი უნივერსიტეტმაც უნდა დაჰკმოს, რო-
გორც დაჰკმო საშუალო სკოლამ, რადგანაც ცხო-
რებას მისთვის დიდი ხანია წესი აუგია. თავი მო-
ვაქვს, რომ ქართულ ენას ევროპული ორთოგრაფია

პარიზი 11 აგვისტო. მილიერანმა მიიღო რუ-
სეთიდან დაბრუნებული ფრანგი მრეწველი სემი-
დენი. რუსეთში მის გამგზავრებამდე, მილიერანი
მასთან საუბრის დროს არ მალავდა რუსეთისადმი
არამეგობრულ განწყობილებას. ეხლა კი მილიერა-
ნის განწყობილება ს. ს. რ. კ. მიმართ შესამჩნევად
შეიცვალა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საფრანგე-
თის მრეწველები, რომლებსაც განზრახვა აქვთ რუ-
სეთთან ვაჭრობის დაწყებისა, „ქვეშაზე აყენებენ
საქმეს“.

სემიდენმა უპასუხა: საფრანგეთის საქმიანი
წრეები „ქვეშაზე აყენებენ საქმეს“, ვიდრე საფრან-
გეთსა ჰ რუსეთის შორის ოფიციალური ურთიერთობა
არ განახლებდნო.

მილიერანი ძლიერ დაინტერესა რუსეთის
მრეწველობისა და მიწათ-მოქმედების დღევანდელ
მდგომარეობამ, განსაკუთრებით კი მიწათ-მოქმედ-
ების ალორძინებამ რუსეთის შავ ნიადაგიან ოლქე-
ზში: სამხრეთ გუბერნიებსა და ჩრდილო კავკა-
სიში.

ახალი ამბები

— სტიპენდიანტთა საყურადღებოთ. საქ. კბ
კვ. საავტოსპროპაგანდო განყოფილება აცხადებს,
რომ ყველა სტიპენდიანტები, რომელნიც იგზავნე-
ბიან რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, ვალდე-
ბული არიან გამოცხადდნენ ამა წლის 19 აგვისტოს,
დღის 2 საათზედ საამ—საპრ. განყოფილებაში
რ. ს. ფ. რ. უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნათ.
სტიპენდიანტებს წინადადება ეძლევათ თან იქო-
ნიონ საჭირო საგნები (თეთრეული ლოგინისა და
ტანის, ფეხსაცმელები, შინელი და სხ.)

— ლექციები სასოფლო-მეურნეობაზედ. ქალ.
აღმასკომის მიწადმოქმედების განყოფილებამ დაად-
გინა, გამართოს ლექციები სასოფლო-მეურნეობაზედ
ტფილისის მაზრის მცხოვრებთათვის.

— სასპორტო წრეები მუშებისათვის. ამ
დღეებში მოეწყობა სასპორტო წრეები მუშებისა-
თვის მთავარ ქარხნებთან.

— პროექტი სოციალური დაზღვევის მდგო-
მარეობის შესახებ. საქარხნო კომიტეტების სახელ-
მძღვანელოდ დამტკიცებულია პროექტი სოციალური
დაზღვევის მდგომარეობის შესახებ. ამ დღეებში
პროექტი გამოქვეყნდება.

— აშხ. ოკუპაციას დანიშნა. ა. კ. ცენტრა-
ლურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების
თანახმად, 13 აგვისტოდან ა. კ. მუშათა და გლეხთა
ინსპექციის სახალხო კომისრათ დაინიშნა აშხ. მ.
ოკუპაცია.

— შრომის კანონების დარღვევისათვის. შრო-

ალარა აქვს, ეხლა კი ჩვენი მეცნიერები მის აღდ-
გენას ისწრაფიან!

ეგზიპიანის (გვ. 410) მართლ წერა სომხუ-
რია. სიტყვა რთულია. მისი შემავალია ეგზ—მარჯ-
ვენა და მიაწინ—მხოლოდ—შობილი. ქართული
ენის პრაქტიკას დაუკანონებია ეგზიპიანის გამო-
თქმა ეგზიპიანად, რაკი სასტიკად დაცულ უნდა
იქნეს, რომ ქართველი კაცის ყურთასმენისთვის
საინთირო არ იქნეს სომხური გამოთქმა.

ვარ აწმყო დროის პირველი პირია. მისი სა-
ხელწინა არის რინა, მეგრულში დაცული, რომლი-
საც ძირია რ, ფარდი ლათინური მ ძირისა (გხხე—
ყოფნა, ხუშ—ვარ, ერამ—ვიყავ, ერო—ვიქმენი,
ვიყვი). მაშასადამე როცა გვიდა სახელწიფალი
ძირისა და ზნის გარჩევა, მაშინ უნდა იწერებოდეს
ვა—რ, ხა—რ და არა ვა—რ. ხა—რ. რინა ისეთი
ზნაა, რომელსაც უღვლილების დროს თავს დაერთ-
ვის ვა (ძვ. ვჰა).

რაც შეეხება განმარტებას ხუცეხი სიტყვი-
სა, რომლისაც ფარდია სვანური ზოშა და მეგრუ-
ლი უზაში (გვ. 410), უნდა ითქვას, რომ მისი წარ-
მოება 3 საბერალო ხმის თავს დართობ შესაძლე-
ბულია, მაგრამ 3 ამ შემთხვევაში ქართული საბე-
რალი კი არ არის, თუნდაც 3—აეს ნაცვალდ ხმარე-
ბული, როგორც ზნაბთა უღვლილების დროს ვნა-
ხეთ, არამედ იგია უცხო არიული სიტყვის
ძირითადი ხმა. მაშასადამე თუ მეგრულ
სიტყვას აღარ ახალა, თავისი საბოლოო
აქვს. ხუცეხი ფორმით შედარებით ხარისხია
წარმოებული ხუც (ხუცი) სიტყვისაგან, რომელიც
ლმერის ნიშნავს (შეად. ოსური ხცა) ისევე, რო-
გორც ლუდ, რომლისაგანაც სწარმოებს ლუდელი
(მღვდელი) და ორივე ღვთის მსახურს მოასწავებს,
ანალოგიად არაბული ენისა, სადაც მოლდა ითარ-
გუნება ალლას (ღვთის) მსახურად, ხოლო, რაკი
ღვთის მსახურად ბერები იყვნენ, ამის გამო მცხო-
ვანი, მოხუცი, უხუცესი ხნიერს, სიბერეში შე-
სულს ნიშნავს, აგრეთვე უხესს, უფროსს, რის გა-
მოც იხმარება გამოთქმა უხუცეს—უმრწემი (უფ-
როს—უმცროსი). ძირი ლუდ იგივეა, რაც სპარსული
ჰუდ (ჰუდა), რომელიც ნიშნავს ღმერთს. მისი ფარ-
დია ლუთ, რომელიც გამოითქვა ხუც; ხც, მერმე
ღვთ, ანუ ღვთა (ღვთაება), ხოლო იაფეტურად გა-

საბჭოთა კავშირი და ინგლისი
მოსკოვი. 10 აგვისტო. გაზეთების ცნობით,
„მორინე პოსტ“-ში მოთავსებული წინააღმდეგო-
მელიც უმთავრესი საბუთი, ი. ე. ინგლისის მოკავ-
რისათვის აშხ. რაკოვსკის ს. ს. რ. კ. მოკლულად
ბიან წარმომადგენლად დანიშვნის საკითხის გადა-
სასინჯავად, ნათარგმნია მილიუკოვის „პოსლედ-
ნოვოსტი“-დან. კორესპონდენტის ავტორი არის
ტირკოვა. ამგვარად ინგლისისა და რუსეთის შორის
მომხდარ დიპლომატიური კონფლიქტის კვანძი
უნდა ვეძიოთ თეთრ ემიგრაციის წრეში.

პარიზი

— დღეს, 15 აგვისტოს, „ტრიბუნის“ რედაქ-
ციაში შესდგება მთავარ კომიტეტის სხდომა. აშხ-
ნაგებს ვსთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

მის ბირჟიდან წარმოდგენილი მასალების მიხედვით,
შრომის სახალხო კომისარიატმა დაადგინა მიცე-
მულნი იქნენ შრომის სასამართლოში რკინის გზის
დაწესებულებები, მუშა-მოსამსახურეების სამსახურში
მიღების წესის დარღვევისათვის.

— ინვალიდების ცენტრალური კომიტეტი.
სახ. სოც. დაზღვევის კომისარიატის ინიციატივით
ტფილისში შესდგა ინვალიდების ცენტრალური კო-
მიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს საკონტრო-
ლო-ადმინისტრაციული ფუნქციები.

— ცენტო მარულების მოწყობა სამხრეთ-
ოხეთში. სამხრეთ-ოსეთის მიწადმოქმედების კომი-
სარიატმა დაადგინა მიილოს ყოველგვარი ზომები
ცენტო მარულების და ცენტების ქარხნის მოსაწყო-
ბათ ცხინვალში.

— მონოპოლია ლატარია-ალეგრაზე. სახ. კო-
მისარიატა საბჭომ გამოსცა დადგენილება, რომლის
ძალითაც მთელს რესპუბლიკაში მონოპოლიური
უფლება ენიჭება სოც. დაზღვევის სახ. კომისარიატს.

— დამზღვევი კასების რაოდენობა ამიერ-
კავკასიაში. ამ ჟამად ა. კ. ფედერატიულ რესპუბ-
ლიკებში დამზღვევი კასები ირიცხება სულ 40. აქე-
დან საქართველოში 18, აზერბეიჯანში—16, სომ-
ხეთში—6 და ა. კ. რკინის გზაზე—7.

— ახალ-ხენაკის მუშათა სახლი. ახალ-სე-
ნაკში მუშათა სახლის ასაშენებლათ საბჭოთა მო-
სამსახურეების კავშირმა გადასდო 1 მილიარდი და
500 მილიონი.

მოთქული მღვა, რომელიც ხმათა შერბუნების წე-
სით და რსაბერალოს ხმის ჩართვით, რაკი ხშირად
სწევია ქართულ ფონეტიკას, შექმნილა ღმერთი-
ხუცის ფარდი მეგრული ფორმა უზაში იმიითა
საინტერესო, რომ უცხო ჰუდ სიტყვის 3 ქართულ
ხმათა ცვლის დროს დ—ანად (მღვდელი) და ხ—ანად
(ხუცი, ხუცესი) გამოთქმულა, ხოლო მეგრულში
გამტრალა (უზაში), სვანურს კი შეზრენია მხოლოდ
3 (ხოშა). ასეთია ფონეტიკური ევოლუცია, რომე-
ლიც განუცლია ქართულში გადმოსულ უცხო სიტ-
ყვასა.

იმ სიტყვებში, რომელიც სპარსული ჰუდ სი-
ტყვისაგან წარმოებულია მეტად დამახასიათებელია
ქართული ენის ბუნებისა სიტყვაღმერთთან და მო-
ხუცთან ერთად აგრედვე მღვდელი, რომელიც
იაფეტურ ჩარჩოშია ჩასმული (მ-ღვდელი) ისევე,
როგორც მასპინძელი, წარმოებული ცხვირის მი-
ერი ბერით ჰოსპეს (ჰოსპიტ) ლათინური სიტყვი-
საგან (მ-ოსპინტელი—მ-ასპინძელი). არიული ლექ-
სიკა და მისი იაფეტური ჩარჩო, აი ხშირად რა
აბასიათებს ქართული ენის ურთიერთობას არიულ
ენებთან.

ჩემის მხრით მაღლობას უძღვნი ახალგაზდა
მეცნიერ მოღვაწეს აკაკი შანიძეს, რომელმაც მი-
თავაზა ამ წერილის შემოწმ მოხსენებული თავისი
ნაწერები, სავსე მრავალი დაკვირვებით და ანგა-
რომ გასაწევი მოსაზრებითა. იმედო მაქვს, რომ
ქართული ენის ბუნების კვლევის, რაც ეგრე საყვა-
რულ საგნად გადაჰქცევია, კიდევ უფრო გააღრმა-
ვებს, რომ მისნი დებულებანი უცილობელ საფუ-
ძველს ეყარებოდნენ არიულ ენათა ფილოლოგიაში
ექსკურსიის მოხდენითაც, რათაგანაც არსებობს ლინ-
გვისტიკაში ერთი დებულება, რომლისაც თანახმად
არიელები და სემიტები უნდა შთამომავლობდნენ
ერთი პროტოტიპი ხალხისაგან. იაფეტური ენათა
ფილოლოგია ამისთვის იძლევა საკმაო მდიდარ მა-
სალას, რომლის გამოყენებაც საკითხის განხილვას
წინ წასწევს.

პეტრე მირიანიშვილი.

— დღეს, 15 აგვისტო უქმე დღეა. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით ოთხშაბათი, 15 აგვისტო (დღეს მშობლის მიძინება) გამოცხადებულია უქმე დღე.

— ნათესავების ერთად სამსახური აკრძალულია. შჩ. სახალ. კომისარიატმა შეიმუშავა პროექტი, რომლის ძალითაც აკრძალულია ნათესავების, მაგ. ცოლ-ქმარის, მამა და შვილის, დისა და ძმის და აგრეთვე ძმობა და დობა ერთად სამსახური.

— დახმარება სამაგრო წითელ ფლოტს. აშხ. ლენინის სახელობის სატყეველო 1-ლი ქარხნის მუშებმა დაადგინეს გადასილნი ერთი დღის ხელფასი ხსენებულ ფლოტის სასარგებლოდ.

— პეტროგრადის სამხატვრო თეატრის მსახიობ-ტრადიციის ცნობილ კოლეგის ვასტროლები ტფილისში. 25 აგვისტოდან მუშათა ცენტრალურ კლუბში იხსნება ვასტროლები პეტროგრადის სამხატვრო თეატრის მსახიობის კოლეგისგან. რეპერტუარი: „ურთელ აკოსტა“, „ედემონდ-კინი“, „ჰამლეტი“, „ოტელო“, „ჩაიკოვსკის ზარი“ და სხ.

— საქართველოს პროფკავშირთა სამდივნომ დაადგინა წინადადება მისცეს კულტ-განყოფილებას, რათა თავის წევრთა შორის გასწავლოს, როგორც სიტყვიერი ისე წერილობითი აგრეთვე სახელმწიფო სესხის ობლიგაციების რეალიზაციის შესახებ.

— ტანისამოსი პენსიონერებს. საპენსიო კასამ დაადგინა ამერიკულ დამხმარე კომიტეტისაგან შეიძინოს კასის ფონდიდან ტანისამოსი თავის წევრთათვის.

— დაწესებულებათა თანამშრომლების სია. შრომის ბირჟამ აღძრა შუამდგომლობა შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიის წინაშე, რათა ყველა დაწესებულებაში საჩქაროდ წარუდგინოს შრომის ბირჟას თავიანთი თანამშრომლების სია.

როდის მოაქვს გოლო?

რამდენი ხანია ვიძახებთ გაეროვნების შესახებ საქ. რკ. გზებზე. მაგრამ დღემდე ეს არ ტარდება ცხოვრებაში. რა უშლის ხელს?

გაეროვნების დავიანებამ და გაურკვევლობამ მისცა საშუალება ძველ „ნიკოლოზიტებს“ თავის ჰანგებზედ მდგომარეობა. აი მაგალითი: პსკ. იმდენად გაამხვევს ამ გაეროვნების გატარების გამოუკვევლობამ, რომ ადგილობრივ მუშებში დაიწყო ავტოტა-ცია გაეროვნების წინააღმდეგ და გაეროვნების მომხრეთ კონტრ-რევოლუციონერებს და ნ. ყორდანის აგენტებს უწოდებს. შორაპნის ადგილ-კომს ამის შესახებ ცნობა აქვს და იმედია ჯეროვან პასუხს გასცემენ თავზედ პს-ს, მაგრამ საკითხავია; როდის იქნება დაბოლოს გაეროვნება საქ. რკ. გზ. და ამ გვარ გაუგებრობას როდის მოეღება ბოლო???

ლ. მანჯავიძე.

P. S. ეს წერილი რომ გავათავებ ის იყო პირადი შეხვედრა პსკ. ნ. მილიაკოვი და მიხრა: მართალია ვსთქვი, რომ არ შეიძლება გაეროვნების გატარება და ახლაც ვამბობ: საქ. რკ. გზ. გაეროვნება არ შეიძლება. ადგილობრივ მუშებში აღმოვითებული არიან ამ ამბით და კითხულობენ: როდის მოეღება ბოლო ამასო. გაეროვნების საკითხი დავიანების გამო თანდათან ღებულობს მწვავე ხასიათს და რაც მალე იქნება გაეროვნება, მით უმეტეს კარგი იქნება.

ლ. მ.

გაეროვნება

წალვერი. წრეგანდელი საავარაკო სეზონი წალვერში კლიმატის მხრივ ვერ არის მაინცა და მაინც რიანი. მუდმივი ღრუბელი და ნისლი და ხშირი წვიმები წარმოუდგენელ სინეტს ქმნიან და მოავარაკეთ არა აქვთ საშუალება ხეივანთა ისარგებლონ კურორტით. არის ისეთი დღეებიც, როდესაც მზის სხივის დანახვა სანატორიო ხდება ადამიანისათვის. განსაკუთრებით ცუდი გავლენა აქვს ასეთი ამინდის მოავარაკე ავადმყოფებზე.

წელს კენხობის ბინები უმთავრესად ს. პ. კ. კ. დასასვენებელ სახლებსა აქვთ დაკავებული; დასასვენებელი სახლები საკმაოდ კარგად არიან მოწყობილი; არის საერთო სასადილოც; დასასვენებლად ჩამოსული მუშა-მოსამსახურებელი დასვენებასა და კვებას საკმაოდ კარგი გავლენა აქვს: მრავალი მათგანი თავს საგრძნობლად გაუმჯობესებულად სთვლის.

ყოფილი მღებრიშვილის ავარაკი ამ ქაბად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სანატორიუმს უქარავს; სანატორიუმში დაახლოებით 50 ავთამყოფელმა მოთავსებული. ავთამყოფების კვება არაჩვეულებრივად კარგად სწარმოებს; სანატორიუმის სამწეო ნაწილი ამ მხრივ, ძლიერ კარგად არის დაყენებული ენერგიული მნეს მუყაითი შრომით. ავთამყოფები კვებისა და მოვლის მხრივ კმაყოფილებას გრძნობენ; მხედველობაში არის სახლები უქცროს მოსამსახურეთა გამო გამოწვეული მცირე უსამოვნებანი. საერთოდ, წელს მუშა მოსამსახურეთა ჯანმრთელობისა და გამოკეთებისათვის გაკი-ლებით მეტი ზრუნვა არის და ხარჯიც, ვიდრე გასულ წელს, მიუხედავად იმისა, რომ შარშან წალვერში 2 სანატორიუმში არსებობდა. განსაკუთრებით ავთამყოფენ თავიანთ მიზნებს პროფკავშირთა დასასვენებელი სახლები.

კურორტის გამწვენიერებისა და მოწყობის მხრივ, მაინცა და მაინც არაფერია შესაძენი. ყვე-

ლაზე დიდი, რაც წალვერში პირველადვე თვალში გეცემთ,—ეს ელექტრონული განათებაა; მანქანა ჯერ კიდევ შარშან იქნა დადგენილი და მუშაობს წყლით. წელს ელექტროული ენერგია გაყვანილი არის კენხობში და კერძო ავარაკებშიც. არსებული ელექტრონის სადგური თუმცა მკრთალს, მაგრამ მაინც საკმაო სინათლეს იძლევა მთელი კურორტის განათებლად. სამწუხარო არის, რომ გზა კენხობსა და ბაზარს შორის გაუწათებელია და აგრეთვე სინათლეს მოკლებულია რკინის წყარო და მისკენ მიმავალი გზა, რის გამოც წყლით სარგებლობა მცირე შეღამების შემდეგ შეუძლებელი ხდება.

სისუფთავის დასაცავად მეთვალყურეობს გა-



რადიის მსოფლიო ამოღება.

დღეს მთელ დედამიწის ზურგზე ამოღებულია 200 გრამი რადი. გერმანიის სტატისტიკური დეპარტამენტის გამოანგარიშებით ყველაზე მეტი ნაწილი რადიის ამოღებით შეერთებულ შტატებში დაახლოებით 160 გრამი. მეორე ადგილი უჭირავს ბოჰემიას, სადაც პირველად იქმნა აღმოჩენილი რადიები. მას აქვს ნიკეშული ოქდა ხუთი გრამი. პორტუგალიაში 10 გრამი, ინგლისში 3 გრამი, მადაგასკარში და ტონკინში თითო გრამი და მთელ ავსტრალიაში 0,6 გრამი. საერთოდ წლიური ამოღება რადიის უდრის 20—25 გრამს. შეერთებული შტატებში 1922 წ. ამოღებული იქმნა 43,4 გრამი.

ბაქტერიების ახალი გამოკვლევა.

ცდებით, რომელსაც აწარმოებდნენ ათი წლის განმავლობაში ინგლისის ლაბორატორიაში გამოარკვეს, რომ ბაცილების სახეობა 14—20 წლის განმავლობაში ატარებდნენ სასიცოცხლო ძალებს. პირველი დიფტერიის ბაცილათა კულტურა და ბოლერის ვიბრიონი დაიხონენ.

ტივის ბაცილები დახურული მინის მილში ძალაში რჩებიან 18 ნახევარი წლის განმავლობაში. ციმბირის ქირის (იახვა) ციხლობენ 19 წლის

მსოფლიოს წარმოშობის ახალი თეორია

(დასასრული).

არის კიდევ მესამე თეორია, რომელიც გამოვიდა ლაპლასის თეორიის წინააღმდეგ; ეს არის თეორია ფაისა. ისიც, როგორც სხვები ლაპლასის თეორიის საფუძველზე ურანის და ნეპტუნის თანამგზავრის უკუღმითი მოძრაობით, და შემდეგ განსაზღვრავს: პირველად ძალიან გათხლებულ სფეროში ნაწილაკები ბრუნავდნენ თანასწორი სიჩქარით დამოუკიდებლად იმისა, თუ რა სიშორეზე იყვნენ ისინი ცენტრიდან დაშორებულნი. მხოლოდ ამგვარად შეიძლება აიხსნას ის, რომ ლაპლასის რგოლები ბრუნავდნენ ერთ მილიონ მასად, მაშინ სიმძიმე იხატებოდა პირდაპირ პროპორციულად ცენტრიდან სიშორისა, მაგრამ როდესაც წარმოიშვა მზე (რომელიც წარმოიშვა ყოველივე იმ ელემენტების შეერთებით, რომელიც არ შედის ამ რგოლების შემადგენლობაში), მაშინ ამ დიდი მასის ზეგავლენით (რომლის მასა იყო 4700 ნაკლები მზეზე) სიმძიმე შეიქმნა არა პირდაპირ პროპორციული სიშორის ცენტრიდან, არამედ შეტევივით პროპორციული ამ სიშორის კვადრატისაგან, როგორც დღესაც არის. როგორც ვხედავთ ეს საინტერესო ჰიპოთეზა ნიუტონის თეორიაში ხედავს განვითარების სხვა და სხვა უკუღმითი ფაზებს. ფაის თეორია მექანიკის თვალსაზრისით საკმარის სხნის ურანის და ნეპტუნის თანამგზავრთა უკუღმითი მოძრაობას: მეორე შემთხვევაში სისტემა უნდა იმოძრაოს უკუღმით. პლანეტები, რომელიც მოთავსებულია ცენტრალურ სფეროში ე. ი. დაწყებული მერკურიდან და გათავებული სატურნით, წარმოიშვნენ ფაის აზრით მაშინ, როცა მზე არ იყო ან და თუ იყო ძლიერ უმნიშვნელო მასით—ხოლო პლანეტები, რომელნიც ცენტრალურ სფეროს გარეთ არიან, წარმოიშვნენ უკვე მზის არსებობის და გავლენის დროს. ერთის მხრივ ეს თეორია ვითომ ეთანხმება ლაპლასის გეოცენტრის, იცილებს რა ურანის და ნეპტუნის თანამგზავრთა უკუღმითი მოძრაობას თავიდან, მაგრამ მეორეს მხრივ ახალიც არის, რადგან ფაით მზიდან დაშორებული პლანეტები უფრო წრე არის—წარმომდგარი, ვიდრე ახლის მდებარე, მაშინ როდესაც ლაპლასი მათ თვლის პირველ სხეულებად, რომელნიც პირველ ყოვლი ბუნდოვანობიდან გამოვიდნენ.

კლასიკურ წარმობათ უნდა ჩაითვალოს ზ. დარვინის ნაწარმოები კოსმიურ მოქცევაზე. როგორც ოკეანეს წყლის მოქცევა, მიმზიდველობის ზედგავლენით პლანეტის ალაფიანი მასა თანდათან იღებს ელიპსოიდის გარკვეულ ფორმას. თავის მხრივ თანამგზავრი იწვევს მოქცევას პლანეტაზე. გარდა ამისა მოქცევათა სახენი ცვლის პლანეტის ღერძის მდგომარეობას, როგორც ეს სჩანს ნათლად უბრალო ძალთა პარალელოგრამაზე, ხოლო ვადარის გადიდება ამცირებს სიჩქარეს და მიმოქცევითი მოძრაობის სიდიდეს, მაშასადამე მოძრაობა უნდა აჩქარდეს ორბიტაზე. სხვანაირად რომ ესთქვით მიმზიდველობამ უნდა დაშორის პლანეტა მზეს (ზევიერ ჩვენ დავინახეთ რის მიხედვით პლანეტები თანდათან უახლოვდებიან მზეს. აქ გვიმტკიცდება წინააღმდეგ, მაგრამ თვით ეს წინააღმდეგობა საინ-

საკუთრებული სანატორიული კომისია, მიუხედავად ამისა წალვერის ქუჩებსა და ზოგიერთ ავარაკის გზას ძალიან მცირედ ემჩნევა ამ კომისიის მეთვალყურეობა. ქუჩების დავა იშვიათი შემთხვევაა წალვერისათვის. მთავარი ქუჩები ხშირად ნავაგითა და ჭრებების მიერ დაყრილი ჟსუფთაობითაა ავსილი.

მცირე უნარის გამოჩენით ადგილობრივ აღმასკომს შეეძლო უკეთესი მომვლელი ხელი დაემხნა წალვერისათვის,—რომლის მძლავრი მაჯის ცემაც სულ სამი თვით გრძელდება,—ვიდრე ეს დღეს არის.

გოჩა.

განმავლობაში, ბაცილის ერთმა ასეთმა სახემ, რომელსაც 81 წლის განმავლობაში ინახავდნენ ქალაქში გამოხვეულს, შესძლო მოეკლა რამოდენიმე საათის განმავლობაში მის მიერ მოშაშული თავი. ჯერ მაშინაც, კი როდესაც ბაცილები დაიხონენ მათი გამანაყოფიერებელი თესლი ინარჩუნებდნენ სიცოცხლის მიმცემ ძალას. იმათ აქვთ განსაკუთრებული გარსი, რომელიც ეხმარებათ მათ თვითდაცვაში მათი დახოცვისათვის საჭირო არის უფრო დიდი ტემპერატურა ვიდრე ბაცილების მოსაკლავად.

მეორე მხრივ შემჩნეულია, რომ ჰაერი, რომელიც ზღვიდან მოდის საფუძველზე თავისუფალია მიკრობებიდან.

ხმელეთის ქარი რომელიც ასი კილომეტრით გადასულა ზღვისაგან თავისუფალია ამ მიკრობებიდან.

შემჩნეულია, რომ გემებზე ბაცილები ასევე ნაკლებია, ვიდრე ბაქტერიები დიდ ქალაქების სახლებში.

საინტერესოა აგრეთვე შემდეგი, როდესაც ტალღები ჰაერში ვარდებიან ქარიშხლის დროს, ისინი გადასტყორცნიან ჰაერში ბაქტერიებს, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით.

ტერესოა, რადგან ის ამტკიცებს თუ როგორ ღრმად აზროვნებენ ამ საკითხის გარშემო.

რიცხვითი გამოანგარიშებამ დავანახა, რომ მოქცევათა ხახუნმა ვერ შესძლო შესაძლებლად შეცვალა ორბიტის სიდიდე და ბოლოს კანონი პლანეტა შორის მანძილის შესახებ რჩება ძალაში. მხოლოდ დედამიწის სისტემაში მთავარ მოქმედობას თანამგზავრის მოქცევათა გავლენით მეტეჯერ, ვიდრე სხვა სისტემებში და დარგინიც მას უფროებს როგორც დომინიურ ფაქტორს მის ევოლუციაში. მთავრის მასის და დედამიწის მასის დამოკიდებულება შედარებით სხვა პლანეტების და მათი თანამგზავრების მასების დამოკიდებულებასთან გაცილებით დიდია. ამას ხსნიან მით, რომ დედამიწის მიმოქცევითი სიჩქარის გადიდება, რომლის მიზეზიც არის მიწის შეჯგუფება, დიდხანს უწონასწორდებოდა ამავე მოძრაობის შენელების მზის მოქცევის გამოისობით. ამდგავარად ამ ხნის განმავლობაში ადგილი არ ჰქონდა დაუდგომლობის ხანას, რომელიც როდესაც ეს ხანა დადგა მიწის შეჯგუფება გაცილებით წინ წასული იყო. ეს იშვიათი შემთხვევა (და ერთადერთი) მსოფლიოში; სხვა პლანეტები კი, რომელიც ახლოსაა მზესთან მაგ. მერკურის და ვენერის არა ჰყავთ თანამგზავრნი, რადგან მზის მოქცევა იმდენად ამცირებდა მათი მიმოქცევის სიჩქარეს, რომ ამ პლანეტებს არას დროს არ გაუვლიათ დაუდგომლობის ხანა და ხანა თანამგზავრთა გადახრებისა; და მართლაც თანამგზავრთა სიმრავლე პირდაპირ პროპორციულია მზისგან დაშორებული მანძილის სიდიდესთან.

ვიტყვი კიდევ რამოდენიმე სიტყვას სტრატონის თეორიაზე. ლაპლასის თეორიის მიხედვით პლანეტის წარმოშობი ყველა რგოლები მოძრაობდნენ კეპლერის კანონის მიხედვით. და მაშასადამე მისგან წარმოშობილ პლანეტებს უნდა ემობრავნენ უკუღმა მიმართულებით. ბუნდოვანი რგოლის კონცენტრიული ზედაპირის ხახუნს თანდათან აიძულებდა ემოძრავა გარეშე ზედაპირის იმავე სიჩქარით, როგორც შიგნითაის, ისე, როგორც თითქმის მთელი მასა წარმოადგენდეს მაგარ სხეულს.

ლაპლასის ეს დაშვება დღეს უარყოფილია. მის მაგივრად სტრატონმა იქონია რა მხედველობი მხოლოდ დარვინის შრომა, დაასკვნა შემდეგი: თუ დაუფუჭებთ პლანეტის ალაფინობა დიდდება იმის მიხედვით თუ რამდენაა ის მცირდება სიდიდით. მაშ მოქცევათა ხახუნს უნდა ამცირებდეს ეკვატორის გადახრას მისი ორბიტის სიბრტყესთან—ხოლო როცა გადახრისა და შეიქმნება ნაკლები 90 პროცენტით, მიმოქცევითი ბრუნვა უკუღმიდან გადადის სწორ ბრუნვაზე.

არის კიდევ ერთი ბელგიელი ასტრონომი ლიგონსი. ლიგონსი კატეგორიულად უარყოფს ლაპლასის თეორიას. კოსმოგონიურ თეორიას ის ჰყოფს ორ დიდ ნებულარიულ და მეტორიულ კლასად. ლიგონსის თვლიდა ორივე ამ ჰიპოტეზას უნდადავით: არც გაზი, არც მეტორიული მტვერი არ შეიძლება იყოს მსოფლიოს დაწყებითი სახე. ამას გარდა ფაით თავის „მსოფლიოს წარმოშობაში“ არეყვს, რომ ძალიან შეთხულებული ზეციური

მატერია შეუძლებელია ყველაგან ერთნაირად ყოფილიყვას ჰაერგვარად გაბნეულ, მდგომარეობაში როგორც ამბობდა ლაპლასი. (რეკონსტრუქცია უნდა იქნას, რომ მეცნიერების დღევანდელ პირობებში ყოფნის გამო, უნდა მივიღოთ დასკვნა, რომ ნებულარიული სახეობათ—ნაწილაკები ატომებისა გაყვნილნი ერთი დადებითი და მეორე უარყოფითი ელექტრონებით. ფაი ცდება, რომ მსოფლიოს დასაწყისად

სოვლის საერთო ქაოსს დედამიწის ქიმიის ყველა ელემენტისაგან შემდგარს. ლიგონსი უარყოფს აგრეთვე უკუქცევითი ძალების გეოცენტრის. ეს ძალები ჩნდებიან მხოლოდ მაშინ, როცა ვარსკვლავის ევოლუცია აღწევს აქტიუობის მაქსიმუმს და განიცდის სითბოსა და სინათლის ზედმეტობას. ასე რომ, არ შეიძლება მით აიხსნას ცივ მიძინებულ სფეროში მყოფ ბუნდოვანების სპირალური სახე. ლიგონსი ილაშქრებს აგრეთვე „გადმოხრების“ თეორიის წინააღმდეგ, რომელმაც თავისი სიმაგრე მოიპოვა მაშინ, როცა 1897 წ. აღმოჩენილი იქმნა 4 თანამგზავრი (იუპიტერის და სატურნის) მათი უსწორო მოქმედებით, როგორც ეს ჩანდა პირველი დანახვით. თუმცა თვით ლიგონსი აღიარებს გადახრების გეოცენტრულ დასტურებას დღევანდელ პირობებში როცა მზე ბატონობს, ხოლო მაშინ კი, როცა მას არავითარი მნიშვნელობა ჰქონდა ეს ადგილი შესაძლებელი იყო. ლიგონსი არც იხილავს ბელის თეორიას და არც ილაშქრებს მის წინააღმდეგ; ის მხოლოდ თავის თეორიას აყენებს. გარეშე მაყურებელს, ამბობს ის, სარგებლათ ავსრევებს სწორი სფეროსებური მოძრაობა ყველა პლანეტების. ეს მოძრაობა უნებლიეთ გვაფიქრებს პირველ ყოვლი ბრუნვაზე. ლაპლასმა ეს მიიღო, მაგრამ უკუღმითი ბრუნვა მე-9 თანამგზავრის სატურნისა არის, რომ არღვევს ლაპლასის თეორიას. ლიგონსი ამტკიცებს თანახმად სიბრტყის კანონისა, რომ როდესაც მზე დაშლილი იყო, მისი მასა თავის გარშემო ბრუნავდა რამოდენიმე ათასი მილიარდის წლის განმავლობაში. თუ კი (დავეთანხმებით ფაის და ვიტყვით, რომ ეს ნივთიერებანი დამოუკიდებელი მოქმედებდნენ ერთმანეთისაგან (ნაწილაკები), რომელიც მოძრაობდნენ ყველა მიმართულებით, ლიგონსმა გამოიანგარიშა, რომ სიბრტყის სიდიდის მაქსიმუმთან (ეკვატორი) ერთი ნაწილაკის მოძრაობის სიდიდე არ აღემატებოდა მეორეს ერთი მეოცდა ათი ათასჯერ ნაწილით. როგორც ბრუნვითი მოძრაობა პლანეტების იმდენად უფრო მეტი ხარისხით შედარებით უმნიშვნელოა სიბრტყეების, რომელსაც სახავს მზე და მისი პლანეტები მიჰყავს. ლიგონსი შემდეგ დასკვნამდის, რომ ჩვენი მზის სისტემა სდგას სრულიად განყენებულათ. ასე მაგ. იქამდის ყველაზე ახლო მყოფი ჩვენი სისტემა ალფა ცენტავრის და 61 „გელის“ იძლევიან სიბრტყეთა ჯამს 800 და 900 მეტს, ვიდრე ჩვენს სისტემაში. 38 ვარსკვლავიდან, რომელთა პარალაქსი და კუთხითი მოძრაობანი გაზომილია, მხოლოდ ორის მოძრაობა (პოლიარული ვარსკვლავის და ალკირის) არის შედარებით ნაკლებით 16 კილ. წუთში დანარჩენი 17—320 კილომ. წუთში მოძრაობენ ე. ი. საშუალო მათი სიჩქარე უდრის 66,5 კილ. წუთში, აქედან ლაგონსის გამოჰყავს შემდეგი დასკვნა; ჩვენი სისტემა წარმოიშვა მსოფლიოს ცენტრში და მოძრაობს ერთგვარ შეზღუდულ სივრცეში.

ამგვარათ თანამედროვე ასტრონომია კინაღამ უბრუნდება ძველ შეხედულებებს, იზიარებს რა მსოფლიოს წარმოშობას გეოცენტრიულ შეხედულებებს.

საინტერესოა თანამედროვე ასტრონომიების შეხედულება მსოფლიოს დაუსრულებლობის შესახებ.

ლიონსის მოჰყავს ამის შესახებ შემდეგი არგუმენტი: თუ რომ პირველ ყოვლი ქაოსს არ აქვს საზღვარი, მაშინ თანასწორი მიმოქმედი მოლეკულარილ მოძრაობის ყველა წერტილში უდრის ნულს, ელემენტები ან გაჩერებული არიან ან და მოძრაობენ სწორხაზოვნად და სწორად; არ არის შემთხვევა ორი მეზობელ ნაწილაკების, რომელიც მოძრაობენ თანასწორი სიჩქარით პარალელურ სწორ ხაზზე და მაშასადამე არ იქნება ადგილობრივი შეჯგუფება. თუ მოხდა შეჯგუფებანი დარჩენილი მასა არ შეეცდება თავი მოიყაროს ერთ ცენტრში; ქაოსი ყოველთვის დარჩება უფორმოვ. ლიგონსი სცნობს მსოფლიოს ქაოსიდან წარმოშობას მხოლოდ ნაწილების შეერთებით, რომელნიც მოძრაობენ პარალელურ რგოლისებურ ორბიტაზე. ამასთანავე ქაოსს აქვს ბურთის ფორმა ე. ი. უსაზღვრო, მაგრამ არა დაუსრულებელი.

(იხვეცია)

შენიშვნა: ზოგიერთი ტერმინების განმარტებანი, რომელიც უნდა მოთავსებულიყო პირველი წერილის შენიშვნაში, შეცდომით გაუშვეს ტექსტში. „ტრიბუნა“ № 544.

წარმომადგენლის მიმართ

აშხ. რედაქტორი! 1917 წ. მე ვირიცხებოდი მემარჯვენე სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში. დღეიდან კი ვტოვებ ამ პარტიას, გვყვეტ მასთან ყოველივე კავშირს და ვუერთდები მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიას.

მე-8 უბნის ყოფილ ს.-ფ. პარტიულ ბიუროს მდივანი ს. ქანთარია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.